პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი
№ 28 (12844)
კვირა, 2 თებერვალი, 1964 წ.
ფასი 2 კაპ.

## „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“ განაგრძობენ ფრენას

საკვლევი ცნობა

სამეცნიერო კოსმოსური სადგურები „ელექტრონი-1“ და „ელექტრონი-2“ განაგრძობენ ფრენას დედამიწის გარშემო. მოძრაობს რა ძლიერ ამოზნექილი ელიფსური ორბიტით, კოსმოსურმა სადგურმა „ელექტრონი-2“ მიმდინარე წლის 1 თებერვლის 18 საათისათვის მოსკოვის დროით ორჯერ შემოუარა დედამიწას, 4-ჯერ გაიარა გარეთა რადიაციული სარტყელის ზონა. ამავე დროისათვის სადგურმა „ელექტრონი-1“ 19-ჯერ შემოუარა დედამიწას, ბევრჯერ გაიარა შიგნითა რადიაციული სარტყელი.

კოსმოსურ სადგურებში დადგმული სამეცნიერო აპარატურის დახმარებით წარმოებს კვლევა:

— დედამიწის გარეთა და შიგნითა რადიაციული სარტყელებისა;
— მცირე ენერგიათა დამუხტული ნაწილაკებისა;
— ელექტრონებისა და დადებითი იონების კონცენტრაციისა;
— დედამიწის და რადიაციული სარტყელების მაგნიტური ველებისა;
— კოსმოსური გამოსხივების ატომური კომპონენტისა;
— მზის მოკლეტალღიანი გამოსხივებისა;
— სხვადასხვა დიაპაზონის რადიოტალღების გავრცელებისა;
— გალაქტიკების რადიოგამოსხივებისა;
— მეტეორიტული ნივთიერების სიმკვრივისა.

პირველად წარმოებს ერთდროული კვლევა, რაც ერთიანი პროგრამით ტარდება კოსმოსური სივრცის სხვადასხვა დარგში. ამ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს წყნარი მზის წლის საერთაშორისო პროგრამის შესრულებისათვის (მზის აქტივობის მინიმუმის პერიოდი), აგრეთვე შესაძლებლობას გვაძლევს მივიღოთ საჭირო მონაცემები ადამიანის კოსმოსური ფრენის რადიაციული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ტელემეტრიულ გაზომვათა მონაცემებით, სადგურების ყველა აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

სამეცნიერო ინფორმაციას იღებენ დედამიწის ტელემეტრიული პუნქტები როგორც უშუალო გადაცემის რეჟიმით, ისე დამამახსოვრებელ მოწყობილობათა საშუალებით, სადაც გროვდება იმ პერიოდში, როცა სადგურები დედამიწის საზომი პუნქტებიდან რადიობილავდობის გარეშე არიან.

კომანდა კოსმოსურ სადგურებში ნორმალურად მიმდინარეობს, სამსიხშირიანი გადამცემის „შუქურას“ რადიოსიგნალებს 20,005, 30,0071 და 90,0225 მეგაჰერცი სიხშირეებით და გადამცემის „სიგნალის“ რადიოსიგნალებს 19,948 და 19,954 მეგაჰერც სიხშირეებზე რეგულარულად იღებენ გასაზომი პუნქტები.

# რეზოლუცია

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

მოისმინა და განიხილა რა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ **ვ. პ. მჟავანაძის** მოხსენება — საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, — საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას მიაჩნია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი სწორია, ხოლო პრაქტიკული საქმიანობა — დამაკმაყოფილებელი.

ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა, ახორციელებენ რა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებს, საანგარიშო პერიოდში, რაც ორ წელზე მეტ ხანს მოიცავს, ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ბევრი წარმატება მოიპოვეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დიდებული ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლაში.

ჩვენი ქვეყანა ახლა ჩაბმულია დიად კომუნისტურ ლაშქრობაში, ყოველ წელს სულ ახალ და ახალ მიჯნებს აღწევს საბჭოთა ხალხის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. სკკპ XX ყრილობის შემდეგ აღებულმა ლენინურმა კურსმა, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გადაჭრით გაუმჯობესების კურსმა, ფართო გასაქანი მისცა სოციალისტური წარმოების უმდიდრესი შესაძლებლობებისა და რეზერვების უაღრესად სრულ გამოყენებას. საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო მიღწევებმა, რომლებიც მოპოვებულია XXII ყრილობის შემდეგ, კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენი დიადი სამშობლოს — მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესის მედროშის საერთაშორისო ავტორიტეტი.

საქართველოს კომპარტიის ყრილობა დიდი კმაყოფილებით იწონებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, რომელმაც გახიხილა სამეურნეო მშენებლობის ძირეული საკითხები, სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი ქიმიზაციის გრანდიოზული პროგრამა, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის ტემპის დაჩქარების უძაგალითო პერსპექტივებს რომ სახავს. ამ ამოცანის გადაჭრაში თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელნი.

მომძე საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის აყვავების უმნიშვნელოვანესი პირობაა ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი თანმიმდევრულად ახორციელებს ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. საქართველოს კომუნისტებს თავიანთ უმაღლეს ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნიათ შემდგომ განამტკიცონ მეგობრობა და ძმობა საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის, დიდ რუს ხალხთან.

საქართველოს კომპარტია — საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმი — ყოველდღიურად გრძნობს დახმარებასა და მხარდაჭერას, რასაც უწევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. საქართველოს კომპარტია თავის XXII ყრილობას შეეგება უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, მონოლითური, ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული.

მთელი ქართველი ხალხის სახელით ყრილობა გულითად მადლობას უძღვნის სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პრეზიდიუმსა და პირადად ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს საქართველოს სსრ ეკონომიკისა და კულტურის აყვავებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის.

### I.

ახორციელებენ რა პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა გაუმჯობესეს ორგანიზატორული, პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა, უზრუნველყვეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა.

სსრ კავშირის მოძმე ხალხთა დახმარებით საქართველოს მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

შვიდწლედის განვლილ ხუთ წელიწადში რესპუბლიკის მრეწველობამ გამოუშვა მილიონობით მანეთისაზე მეტი ღირებულების საერთო პროდუქცია, ვიდრე დასახული იყო საკონტროლო ციფრებით. 1962 წლის გეგმა 103 პროცენტით შესრულდა. 1963 წელს გეგმა შესრულდა 100,1 პროცენტით. ეს წინა წლის დონეს 6 პროცენტით აღემატება. უპირატესად ვითარდებოდა მეტალურგია და მანქანათმშენებლობა, ლითონდამმუშავებელი მრეწველობა, სამენ მასალათა მრეწველობა, კვების და განსაკუთრებით ჩაის მრეწველობა.

განვლილ წლებში წარმატებით ვითარდებოდა აგრეთვე რესპუბლიკისათვის ისეთი ახალი დარგები მრეწველობისა, როგორიც არის ქიმიური, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთასმშენებლო მრეწველობა. დიდი მუშაობა გაწეული საწარმოო სიმძლავრეთა ზრდისათვის ახალი საწარმოების მშენებლობის, აგრეთვე მოქმედი საწარმოების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის გზით. მწყობრში ჩადგა დაახლოებით 50 დიდი საწარმო და საამქრო. ამუშავდა ისეთი დიდი ობიექტები, როგორიც არის ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენი, ხრამჰესი-2, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის პირველი ბლოკი, ჰიათურის მარგანეცის ტრესტის ახალი მაღაროები, ელექტროგადამცემი ხაზები და კვებისა და მსუბუქი მრეწველობის მთელი რიგი საწარმოები.

დიდი საწარმოო გამარჯვება მოიპოვეს რუსთავის მშენებლებმა და ქიმიკოსებმა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გულითადად მიულოცეს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის მშენებლებს. რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის მემონტაჟეებსა და ქიმიკოსებს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება — კაპროლაქტამის წარმოების საამქროთა კომპლექსის, აგრეთვე მინერალური სასუქების წარმოების დამატებით სიმძლავრეთა ამუშავება.

სახალხო მეურნეობაში ფართოდ იწერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის საწარმოებში განხორციელდა საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის 350-მდე სხვადასხვა ღონისძიება, დაინერგა 110-ზე მეტი ავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, მთავრდება ჰიდროელექტროსადგურებისა და დამწევი ქვესადგურების ავტომატიზაციის სამუშაოები.

ორ წელიწადში ათვისებულია 78 ნიმუშზე მეტი ახალ სახეობათა პროდუქციის წარმოება. მათ შორის არის უწყვეტი მოქმედების მილსაჭრელი ოთხშპინდელიანი ჩარხი, ავტომატური როტორული ხაზი პლასტმასის ნაკეთობათა დასამზადებლად, ავტომატარებლები და საზღვაო გემები, ელმავლები და ჩაის საკრეფი მანქანები. შემუშავებულია ღონისძიებანი ლითონდასამუშავებელი, ხისდასამუშავებელი, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომი სპეციალიზაციისა და კოოპერირებისათვის.

საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწია საანგარიშო პერიოდში ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა. იგი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებდა ტვირთბრუნვის, დატვირთვისა და ტვირთბრუნვის გეგმებს, რისთვისაც აღიარებულ იქნა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად გასული წლის მეორე და მესამე კვარტალებში.

გარკვეული მუშაობა შესრულდა ავტოტრანსპორტით ცენტრალიზებული და სხვა პროგრესულ სახეობათა ტვირთბრუნვის მოცულობის გადიდებისათვის.

გაუმჯობესდა და გაფართოვდა საქალაქო და სასოფლო რადიოქსელი, სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი, დამთავრდა თბილის-ქუთაისის რადიორელეური ხაზის მშენებლობა.

წლიდან წლამდე მაღლდება შრომის ნაყოფიერების დონე. 1963 წლის დამლევისათვის შრომის ნაყოფიერების დონე 1958 წელთან შედარებით დაახლოებით 22 პროცენტით ამაღლდა.

მრეწველობის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია კაპიტალურ მშენებლობასთან. ახლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას მარტო ერთ წელიწადში ხმარდება მეტი სახსრები, ვიდრე პირველ და მეორე ხუთწლედებში ერთად. სწრაფი ტემპით ვითარდება საბინაო მშენებლობა როგორც ქალაქად. ისე სოფლად. კაპიტალური მშენებლობა გადაყვანილია ინდუსტრიულ რელსებზე. მწყობრში ჩადგა დიდძალეული სახლთსამშენებლო ქარხნები თბილისში, რუსთავში, ბიჭვინთაში, მთავრდება სახლთსამშენებლო ქარხნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია ქუთაისსა და ბათუმში. განხორციელდა ღონისძიებანი მშენებლობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

მიღწეული წარმატებანი მუშათა კლასის, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, მეცნიერების, ნოვატორთა და რაციონალიზატორთა უზარმაზარი არმიის გულმოდგინე, შემოქმედებითი შრომის შედეგია. ფართო გაქანება მიეცა პატრიოტულ მოძრაობას კომუნისტური შრომისათვის. ამ მოძრაობაში ახლა მონაწილეობს სამასი ათასამდე მშრომელი — თითქმის სამჯერ მეტი, ვიდრე ორი წლის წინათ. შამპანური ღვინოების კომბინატს, თბილისის კერამიკულ კომბინატს, სამტრედიის სავაგონო დეპოს, ჩაისსაწონ ფაბრიკასა და სხვა საწარმოებს მიენიჭათ კომუნისტური შრომის საწარმოთა წოდება.

აღნიშნავს რა მიღწეულ წარმატებებს, ყრილობა ამასთანავე აცხადებს, რომ რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებენ სოციალისტური ეკონომიკის მთელ უმდიდრეს რეზერვებს.

დიდია ისეთ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც ვერ შეასრულეს დავალებანი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მხრივ. სუსტად იყენებენ არსებულ სიმძლავრეებსა და რეზერვებს, დაბალია ცვლიანობის კოეფიციენტი, განსაკუთრებით ისეთ წამყვან დარგებში, როგორიც არის მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება. საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს გეგმიან-ბალანსიან საწარმოთა რიცხვი 1963 წელს 1960 წელთან შედარებით ორჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო ზარალს თანხა — 20 მილიონი მანეთით. მაგრამ გეგმიან-ზარალიანი საწარმოები რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ბევრია.

დიდი რაოდენობით არის დაუდგმელი მოწყობილობა, რომლის ღირებულებაც მარტო საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში 19 მილიონ მანეთს აღემატება.

ჰიანურდება შრომატევადი პროცესების მექანიზაციის სამუშაოები მსუბუქ, კვების, სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობაში.

ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი რკინიგზის, საავტომობილო და საავიაციო ტრანსპორტის მუშაობაში მგზავრთა გადაყვანის მხრივ, კავშირგაბმულობის საწარმოთა მუშაობაში, ნელა ხორციელდება რესპუბლიკის რადიოფიკაცია და ტელეფონიზაცია, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში.

ბევრი სამშენებლო ორგანიზაცია ვერ ასრულებს საინჟარო და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისების დავალებებს. დაწესებულ ვადებში არ ხდება საწარმოო სიმძლავრეების ამოქმედება და საბინაო მშენებლობის ობიექტების დამთავრება. არ სრულდება საავადმყოფოებისა და სხვა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობის გეგმები. სუსტად წარმოებს ბრძოლა მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მექანიზმებისა და სამშენებლო მანქანების მაქსიმალური გამოყენებისათვის. ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სახსრების დაქსაქსვა მეტისმეტად ბევრ ობიექტზე, რომლებიც ერთდროულად შენდება, აგრეთვე სამუშაო ძალის დიდი დენადობა.

### II.

ახორციელებენ რა პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სოფლის მეურნეობის დარგში მთავარი ყურადღება მიაპყრეს ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, დაფნის, მარცვლის, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის და მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების და უწინარეს ყოვლისა — ჩამორჩენილების ეკონომიკის განმტკიცებას.

დადებითი შედეგები მოიტანა სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნამ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტები უფრო ღრმად სწვდებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკას, ყოველდღიურად უწევენ მათ კვალიფიციურ დახმარებას.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის ვალდებულებანი. 1963 წელს მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 186 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 31.426 ტონით მეტი, ვიდრე 1961 წელს.

დიდ წარმატებებს მიაღწიეს რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა: მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 12 მილიონ 337 ათასი ფუთი მარცვალი.

ჩაის და მარცვლის წარმოებაში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკებს ორჯერ გულითადად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

კარგად იშრომეს 1963 წელს რესპუბლიკის მეჭარხლეებმა. მათ სახელმწიფოს მიჰყიდეს 123.464 ტონა შაქრის ჭარხალი და მნიშვნელოვნად გადააჭარბეს გეგმიან დავალებას.

პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა სუბტროპიკული რაიონების მშრომელებმა. სახელმწიფოს მიეყიდა 46,3 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი და 2.024 ტონა დაფნა.

შესამჩნევად განმტკიცდა საზოგადოებრივი მეურნეობა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდა 15.062 ჰექტარი ახალი ვენახები და 15.471 ჰექტარი ხეხილის ბაღები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაადიდეს პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, ხორცის, რძის, კვერცხის, მატყლის წარმოება და შესყიდვა.

მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონა სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში.

უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკამ მიიღო 3 ათასზე მეტი ტრაქტორი, 800 კომბაინი და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. შარშან რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში წარმატებით მუშაობდა 100 ჩაის საკრეფი მანქანა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის დიდი მუშაობა გაიშალა ნიადაგების შესასწავლად და აგროქიმიური კარტოგრამების შესადგენად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ფართოდ წარმოებს საირიგაციო მშენებლობა, დამთავრდა სიონის წყალსაცავის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სამგორის მიწების შეუფერხებელ მორწყვას. სარწყავი მიწების საერთო ფართობი რესპუბლიკაში 1964-1965 და შემდგომ წლებში მიაღწევს 550 ათას ჰექტარს, რაც შესაძლებლობას მოგვცემს შევქმნათ სარწყავი მიწათმოქმედების მძლავრი რაიონები.

საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განსამტკიცებლად უმაღლესი და საშუალო სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე გამოცდილი კადრებით.

ყრილობა ამასთანავე აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებაში მიღწეული წარმატებანი შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფრო გაბედულად რომ ემოქმედებინათ გამოუყენებელი რეზერვები, უფრო აქტიურად ებრძოლათ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ამაღლებისათვის, უფრო ფართოდ დაენერგათ წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება.

ბევრი პარტიული კომიტეტი და საწარმოო სამმართველო საკმარისად არ ზრუნავს მარცვლეულის მეურნეობის განვითარებისათვის, რაციონალურად არ იყენებს სარწყავ მიწებს, არ აღიდებს მარცვლეული კულტურების ნათეს ფართობებს გამოუყენებელი სახნავ-სათესის ხარჯზე, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მინერალური სასუქებისა და ჰერბიციდების გამოყენებას. ამის გამო ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაბალია მარცვლის მოსავლიანობა და საერთო მოსავალი.

ზოგიერთ მეურნეობაში სუსტად უვლიან ვენახებსა და ხეხილის ბაღებს. ამის შედეგად ჯერ კიდევ არის ნარგავების მნიშვნელოვანი სიმეჩხრე.

სერიოზული ნაკლოვანებანია თამბაქოს, ეთერზეთოვანი ნედლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოებაში.

მთელი რიგი პარტიული კომიტეტები, საწარმოო სამმართველოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნელა ძლევენ ჩამორჩენას საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებაში. ბევრ მეურნეობაში დაბალია ძროხის, ჯოჯოხეთი პირუტყვის ხვედრითი წონა საერთო ჯოგში, მცირეა ცხოველთა პროდუქტიულობა.

* * *

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი სრულდებოდა გასავალზე შემოსავლის გადამეტებით. იგი უზრუნველყოფდა სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების დაფინანსებას. რესპუბლიკაში ხორციელდებოდა სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებანი.

### III.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დიდი მუშაობა გასწიეს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. 1962 და 1963 წლებში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 2 მილიონზე მეტი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურება. გაფართოვდა მაღაზიებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების ქსელი ქალაქად და სოფლად. მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა 1961 წელთან შედარებით 8 პროცენტით გაიზარდა.

მაგრამ ბევრი სამრეწველო საწარმო სათანადო ყურადღებას არ უთმობდა სახალხო მოხმარების მთელი რიგი საქონლის ასორტიმენტის გაფართოებას და ხარისხის ამაღლებას. სავაჭრო ორგანიზაციები ხშირად არ იყენებდნენ იმ უფლებას, რომ მათ შეუძლიათ არ მიიღონ საქონელი, რომელზეც მოსახლეობაში მოთხოვნილება არ არის. ეს იწვევდა მაღაზიებში საქონლის ჩაწოლას.

1963 წელს რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა ვერ შეასრულეს საცალო საქონელბრუნვის გეგმა. სამინისტროს სამომხმარებლო კოოპერაციის ხელმძღვანელები სუსტად სწავლობენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები საკმაოდ არ მუშაობენ კადრების შერჩევის, ვაჭრობის მუშაკთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. აღმოფხვრილი არ არის გაფლანგვა-დატაცების, მყიდველთა ანგარიშში და წონაში მოტყუების შემთხვევები.

რამდენადმე გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. მნიშვნელოვნად გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფის, მშრომელთა დასვენებისა და სანატორიული მკურნალობის ხარჯები, მაგრამ სამედიცინო მომსახურება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს სასოფლო-სამედიცინო დაწესებულებებისა და კურორტების სრული დაკომპლექტება ექიმებით.

რესპუბლიკაში გაძლიერდა ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ. განმტკიცდა ადმინისტრაციული ორგანოების კადრები, გაუმჯობესდა ადმინისტრაციული და იურიდიული ორგანოების საქმიანობის ხელმძღვანელობა და კონტროლი. მაგრამ ბრძოლა სოციალისტური მართწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ არ წარმოებს. კვლავ არის სახალხო დოვლათის დატაცების და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა შემთხვევები.

იზრდება და მტკიცდება ურთიერთობა საქართველოს მშრომელებსა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომრებსა და მესაზღვრეებს შორის. გაძლიერდა მუშაობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის შევსების მოსამზადებლად. მაგრამ ყველგან როდია აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის მოსამზადებლად საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის.

### IV.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა, ახორციელებენ რა პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, მიაღწიეს იდეოლოგიური მუშაობის დონისა და ქმედითობის ამაღლებას, მისი გავლენის სფეროს გაფართოებას, კადრების მარქსისტულ-ლენინური განათლების ფორმებისა და მეთოდების შემდგომ სრულყოფას. ამაღლდა იდეოლოგიური მუშაობის როლი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლაში, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, ახალი ადამიანის აღზრდაში, კომუნისტური მორალის პრინციპების დამკვიდრებაში.

პროპაგანდისტულ და მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში პარტიული ორგანიზაციები მთავარ ყურადღებას უთმობენ ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის შრომითს აღზრდას, იმას, რომ ჩაუნერგონ მათ სიყვარული და პატივისცემა შრომისადმი საზოგადოების საკეთილდღეოდ, წარმოებაში დანერგონ მოწინავე გამოცდილება. ფართო პოპულარობით სარგებლობს კომუნისტური შრომისა და მოწინავე გამოცდილების სკოლები, დაწყებითი ეკონომიური სკოლები, კულტურის, ტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტები, ეკონომიური კონფერენციები და ცხოვრების მიერ შობილი სხვა ფორმები მუშაობისა, რომლებიც შეესაბამება თანამედროვეობის გაზრდილ ამოცანებს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ იდეოლოგიური მუშაობის დარგში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. პარტიული ორგანიზაციები თავიანთ პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ყოველთვის როდი იზიდავენ თვითეულ ადამიანს, საკმარისად არ იბრძვიან ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების კანონის შესაბამისად რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს, რომ მოემზადებინათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგისათვის.

გაუმჯობესდა მოსწავლეთა შრომითი აღზრდა, გაძლიერდა ახალგაზრდობის მისწრაფება საწარმოო ჩვევების დაუფლებისადმი. თითქმის ყველა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა რეორგანიზებულია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომის პოლიტექნიკურ სკოლებად, სადაც საწარმოო სწავლებაა. შემდგომ განვითარდა სკოლა-ინტერნატები, გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები, დაუსწრებელი და საღამოს სწავლების სისტემა.

სახალხო მეურნეობის განვითარებაში ღირსეული წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმა. მათ გაამდიდრეს მეცნიერული აზროვნება მნიშვნელოვანი შრომებით საზოგადოებრივი მეცნიერების, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგიის, კიბერნეტიკისა და სხვა მეცნიერებათა დარგში.

ახალი შემოქმედებითი წარმატებანი მოიპოვეს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა.

პარტიის XXII ყრილობის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შეხვედრების შემდეგ და განსაკუთრებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შემდეგ, მნიშვნელოვნად გააქტიურდა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა რესპუბლიკის შემოქმედებითს ორგანიზა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

# რეზოლუცია

## საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო

(დასასრული)

ციებში, განმტკიცდა ხელოვნების მოღვაწეთა კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. უფრო მაღალ დონეზეა აყვანილი კულტურულ-საგანმახათლებლო დაწესებულებათა, მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებისა და სახალხო თეატრების მუშაობა.

მაგრამ რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების, სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი.

სპეციალისტების, განსაკუთრებით საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება მთელ რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას. ცოტას ამზადებენ ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტრონიკის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის სპეციალისტებს. სერიოზული ნაკლოვანებანია ახალგაზრდა სპეციალისტების გამოყენებაში.

ბევრ საშუალო სკოლაში დამაკმაყოფილებლად არ წარმოებს მთელი რიგი საგნების სწავლება; სუსტად ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლება. სასკოლო შენობათა მშენებლობის ტემპი არ შეესაბამება მოსწავლეთა რიცხვის ზრდას.

## V.

საანგარიშო პერიოდში ამაღლდა პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, გააქტიურდა მათი საქმიანობა კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე. პარტიული ორგანოების გარდაქმნამ საწარმოო პრინციპის მიხედვით ხელი შეუწყო მთელი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ძირეულ გაუმჯობესებას, მეურნეობის ხელმძღვანელობისთვის პარტიული კომიტეტების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

პარტიული ორგანოები ახლა უკეთ ხელმძღვანელობენ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სამეურნეო კადრების მუშაობას, მეტ ყურადღებას აქცევენ ადამიანთა აღზრდას, უფრო კონკრეტულად ეხმარებიან საწარმოებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს წარმოების, შრომელთა კულტურისა და ყოფაცხოვრების საარსებო საკითხების გადაჭრაში.

პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტად ზრუნავენ კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდისათვის მაღალი კომუნისტური იდეურობისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

კიდევ უფრო განვითარდა შინაპარტიული დემოკრატია, გაიზარდა კომუნისტთა ფართო მასების ინიციატივა და თვითმოქმედება, კიდევ უფრო ვითარდება საზოგადოებრივი საწყისები მუშაობაში, უფრო მტკიცედ იცავენ პარტიული ცხოვრების ლენინურ ნორმებსა და ხელმძღვანელობის პრინციპებს, უფრო ფართოდ ჩაღდება კრიტიკა და თვითკრიტიკა, გაუმჯობესდა კონტროლი და მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება.

გაძლიერდა პარტიული ხელმძღვანელობა საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა, რომლებიც ლენინური პრინციპით შეიქმნა და პარტიული ორგანიზაციების მებრძოლი თანამშრომლები არიან, გარკვეული მუშაობა გასწიეს წარმოების რეზერვების გამოსავლინებლად, სახსრების ეკონომიური ხარჯვისათვის საბრძოლველად, აგრეთვე სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სხვა ანტისახოგადოებრივ მოვლენათა გამოსავლინებლად და თავიდან ასაცილებლად.

ამასთან ყრილობა აღნიშნავს, რომ არსებითი ნაკლოვანებანია პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობაში. ზოგიერთი პარტიული კომიტეტი ნელა ეწევა თავისი მუშაობის გარდაქმნას, სუსტად არის დაკავშირებული პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან, ბოლომდე არ აღმოუფხვრია ნაკლოვანებანი კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში.

* * *

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის ყველა პარტიული ორგანიზაციის მთავარი ამოცანაა დაარსმონ მასები სკკპ ისტორიული XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახულ ამოცანათა განსახორციელებლად, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მისაღწევად.

ყრილობა ავალებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს:

უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება, ესწრაფოდნენ იმას, რომ თვითეულმა საწარმომ შეასრულოს მთელი ნომენკლატურის, შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების სახელმწიფო დავალებანი;

პარტიულ ორგანიზაციათა უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნიონ ის, რომ ყოველი ღონისძიებით განავითარონ ქიმიური მრეწველობა, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უსწრაფესად აღმავლობისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. პარტიისა და ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანის — კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანის გადაჭრისათვის. მშრომელთა მთელი ძალღონე მოახმარონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებას;

გააძლიერონ მუშაობა მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოებში საწარმოო პროცესების შემდგომი ინტენსიფიკაციისა და უწყვეტობის დონის ამაღლებისათვის. მიაღწიონ არსებული სიმძლავრეებით პროდუქციის მიღების გადიდებას, მოწყობილობის რემონტის ვადების შემცირებას, პროდუქციის ერთეულზე მასალების ხარჯვის შემცირებას, ახალი ტექნოლოგიური რეჟიმების დანერგვას;

რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ 1965 წლისათვის დაამთავროს საგნობრივი სპეციალიზაცია, უზრუნველყოს ყველა სახეობის სხმულის, ნაჭედის, ნატვიფრის, სამავრის, პლასტმასის ნაწარმისა და ერთგვაროვანი ტექნოლოგიით დამზადებული სხვა დეტალების წარმოების კონცენტრაცია და სპეციალიზაცია;

დააჩქარონ სამუშაოთა მექანიზაცია სამთამადნო და ქვანახშირის მრეწველობაში. განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მიწისქვეშა მექანიზმების დისტანციური მართვის დანერგვისათვის, გამამდიდრებელი ფაბრიკების საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისათვის;

უახლოეს წლებში დაამთავრონ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის, აგრეთვე მსუბუქი მრეწველობის სპეციალიზაცია. მსუბუქ მრეწველობაში გაფართოონ ქიმიური მასალების ნაწარმის გამოყენება, მკვეთრად გააუმჯობესონ ქსოვილების, ფეხსაცმლისა და შკაერილი ნაწარმის ხარისხი;

საშენ მასალათა მრეწველობაში დანერგონ კომპლექსური მექანიზაცია მისი შემდგომი ავტომატიზაციით, დააჩქარონ მაღალი მარკის ცემენტის, აგრეთვე ახალი მასალების მასობრივი გამოშვება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სატრანსპორტო სამუშაოთა მექანიზაციას;

მიიღონ ღონისძიებანი მრეწველობის შემდგომი ტექნიკური ხელახლა შეიარაღებისათვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დაჩქარების გეგმების უთუოდ შესრულებისათვის;

ადგილმბრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს სამმართველოთა ხელმძღვანელებმა, აგრეთვე სპეციალისტებმა უნდა გააძლიერონ ბრძოლა რენტაბელობისათვის, ნედლეულისა და სახსრების ეკონომიისათვის, ახალ, უფრო იაფ და ეკონომიურ სახეობათა მასალებისა და სათბობის გამოყენებისათვის;

განამტკიცონ წარმოებისა და მეცნიერების კავშირი, უსწრაფესად დანერგონ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევანი, ყოველი ღონისძიებით გაფართოონ პროფტექნიკური განათლება, მოაწყონ ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო კადრების მომზადება;

დააჩქარონ ყველა სახეობის ტრანსპორტის განვითარება, გააძლიერონ ბრძოლა რკინიგზის ტრანსპორტის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ბრუნვის დაჩქარებისათვის. უზრუნველყონ შრომითი და საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება რკინიგზის მეურნეობის ყველა რგოლში;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საავტომობილო მეურნეობის შემდგომ განმტკიცებას, ცენტრალიზებული და საქალაქთაშორისო ტვირთზიდვის დანერგვას. შეამცირონ ავტოტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის თვითღირებულება, მკვეთრად აამაღლონ მგზავრთა მომსახურების კულტურა;

გააუმჯობესონ კავშირგაბმულობის ყველა საწარმოს მუშაობა, უზრუნველყონ რესპუბლიკის მთლიანი რადიოფიკაცია, გააუმჯობესონ მოსახლეობის მომსახურების ხარისხი.

ყრილობა ავალებს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს გააძლიერონ მშენებლობის ტემპი, უზრუნველყონ სამრეწველო, სამოქალაქო, სბინაო და სასკოლო მშენებლობის ახალი სიმძლავრეებისა და ობიექტების, სამედიცინო, სოციალურ-საყოფაცხოვრებო და სკოლამდელ დაწესებულებათა საექსპლოატაციოდ გადაცემა. მშენებლობა გახსორციელონ მაღალ ტექნიკურ დონეზე მაქსიმალური ეკონომიური ეფექტიანობით, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, მთლიანად გამოიყენონ შინაგანი რეზერვები და გააუმჯობესონ შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხი.

პირველი რიგის ამოცანად ჩაითვალოს ქიმიური მრეწველობის ობიექტების ახალ სამძლავრეთა მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა.

იმის გამო, რომ რესპუბლიკა განიცდის სიძნელეებს ელექტროენერგიის მხრივ, რაც აფერხებს მრეწველობის განვითარებას, ყრილობა ავალებს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპეციალურად განიხილონ საკითხი ელექტროენერგიის განვითარებისა რესპუბლიკაში და დასახონ ღონისძიებანი ისეთ დიდმნიშვნელოვან ენერგეტიკულ მშენებლობათა დასაჩქარებლად, როგორიც არის ენგურჰესი, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური და ელექტროგადაცემათა ახალი ხაზები.

ყრილობა ავალებს რესპუბლიკის საგეგმო ორგანოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და სახმშენს აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, გააძლიერონ ტერიტორიულ-საწარმოო დაგეგმვა, სწორად და რაციონალურად განალაგონ საწარმოო ძალები, მოაწესრიგონ კაპიტალური მშენებლობის საქმე.

ყრილობა მოითხოვს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციებისაგან ყოველი ღონისძიებით გაავრცელონ ნოვატორებისა და მოწინავე კოლექტივების პატრიოტული წამოწყებანი, მოაწყონ გამოცდილების ფართო ურთიერთგაზიარება, მიაღწიონ მოწინავეთა მიღწევების დანერგვას წარმოებაში, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის შემდგომ გაფართოებას.

ყრილობა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სკკპ XXII ყრილობისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი, საოლქო, საქალაქო, სარაიონო პარტიული კომიტეტების პლენუმების გადაწყვეტილებანი, სოფლის კომუნისტების, ყველა მშრომელის მეცადინეობა მოახმარონ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი გადაუდებელი ამოცანების გადაჭრას.

ჩაის, ყურძნის, ხილის, ციტრუსების, თამბაქოსა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების შემდგომ გადიდებასთან, მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად ყოველი ღონისძიებით განავითარონ მარცვლეულის მეურნეობა.

ყრილობა ავალებს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთისა და აჭარის საოლქო კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, მეჩაიეობის რაიონების საწარმოო სამმართველოთა პარტიულ კომიტეტებს განამტკიცონ მეჩაიეობაში მოპოვებული წარმატებანი; ჩაის არსებული პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისა და კომპლექსური მექანიზაციის დანერგვის გზით უზრუნველყონ რესპუბლიკის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება — მოკრიფონ 1965 წელს 200 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ჩაის ახალი პლანტაციების გაშენების გაფართოებას.

შეუნელებელი ყურადღება მიაქციონ მარცვლეულის მეურნეობის განვითარებას, სოფლის ყველა მშრომელი დარაზონ მარცვლის წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის. გაზარდონ მარცვლეულის სათესი ფართობი სარწყავ მიწებზე 130 ათას ჰექტარამდე, ფართოდ გამოიყენონ ადგილობრივი და მინერალური სასუქები, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებანი. 1965 წელს მარცვლის წარმოება გაზარდონ ერთ მილიონ ტონამდე.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრომ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებმა შექმნან მძლავრი სანერგე და სადედე მეურნეობა, რომელიც უზრუნველყოფს ვენახების, ხეხილის ბაღების, დაფნის ნარგავების, ციტრუსებისა და სხვა მრავალწლიანი კულტურების გაშენების დავალებათა უთუოდ შესრულებას, აგრეთვე ამ ნარგავების სიმეჩხრის სრულ ლიკვიდაციას.

გაადიდოს ყურძნის, ხილის, ციტრუსების, დაფნის ფოთლის წარმოება, აღმოფხვრას ნაკლოვანებანი ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებაში.

უახლოეს ორ-სამ წელიწადში გაადიდოს კარტოფილის ფართობი, გაზარდოს მისი მოსავლიანობა, რათა 1965 წელს დაამზადოს სულ ცოტა 50 ათასი ტონა ეს ძვირფასი სასურსათო პროდუქტი.

აღმოფხვრას ჩამორჩენა თამბაქოს, ეთერზეთოვანი ნედლეულის, აბრეშუმის პარკისა და სხვა კულტურების წარმოებაში, განახორციელოს თამბაქოს პლანტაციების გაჯანსაღების ღონისძიებანი.

ძირეულად გაუმჯობესოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის საქმის მდგომარეობა. მკვეთრად გაზარდოს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება. გააუმჯობესოს სანაშენო საქმე და ზოოვეტერინარული მუშაობა, მინიმუმამდე შეამციროს ძროხების სიბერწე, აღმოფხვრას პირუტყვის გაწყდომა. უახლოეს წლებში ძროხების რაოდენობა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაზარდოს 210 ათას სულამდე, მნიშვნელოვნად გაადიდოს ერკბისა და ნეზვის რაოდენობა. განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი საკვების წარმოების გასაღიდებლად მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის, აგრეთვე მდელოებისა და საძოვრების პროდუქტიულობის მკვეთრად გადიდების გზით.

აამაღლოს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის დონე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მრავალწლიანი და ტექნიკური კულტურების მოვლა-მოყვანის მექანიზაციის საკითხებს. ყურადღება მიაქციოს მექანიზებული სამოთ.მიწათმოქმედების განვითარებას. მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მანქანებისა და მექანიზმების რემონტის ორგანიზაცია.

გააფართოოს საირიგაციო მშენებლობა; უზრუნველყოს 1964-1965 წლების საირიგაციო მშენებლობის გეგმების შესრულება და მიწის ფართობების გასარწყავება.

სერიოზული ყურადღება დაუთმოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას, ძირეულად გააუმჯობესოს შრომის ორგანიზაცია. განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა უახლოეს წლებში აღმოფხვრას ეკონომიურად სუსტი მეურნეობების ჩამორჩენა. გადააქციოს ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო და მაღალრენტაბელურ მეურნეობად.

უფრო ფართოდ გაშალოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგროქიმიური კარტოგრამების შედგენის სამუშაოები, ამასთან ეს მუშაობა დაამთავროს უახლოეს ორ-სამ წელიწადში.

ბეჯითად იბრძოლოს იმისათვის, რომ მეცნიერების მიღწევანი და მოწინავე გამოცდილება დაინერგოს საბოსფლო-სამეურნეო წარმოებაში, აამაღლოს მეცნიერების როლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში.

ყოველდღიურად იზრუნოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების შერჩევისათვის, განაწილებისა და აღზრდისათვის. კოლმეურნეობების თავმჯდომარეებად, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებად, საწარმოო ბრიგადების, მეცხოველეობის ფერმებისა და განყოფილებების ხელმძღვანელებად გაგზავნოს სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე ადამიანები, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების მაღალი ტემპი.

ჩაითვალოს, რომ ამჟამად საქართველოს პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა რესპუბლიკის მშრომელთა მობილიზაცია იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმს, რომელიც დასახავს გადამწყვეტ ღონისძიებებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის.

პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ვალდებული არიან უზრუნველყონ ვაჭრობის შემდგომი ზრდა და მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესება, შეუნელებელი ყურადღება მიაქციონ საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მუშაობას.

ყრილობა მოითხოვს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოებისაგან გადაჭრით აღმოფხვრან გაფლანგვის, დატაცების, სპეკულაციისა და სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევათა ფაქტები.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები ვალდებული არიან გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა, გადაჭრით აღმოფხვრან სოციალისტური კანონიერების დარღვევის შემთხვევები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დანაშაულის თავიდან აცილებას. აღკვეთონ საქმის გაჭიანურებისა და მშრომელთა საჩივრებისადმი გულგრილი დამოკიდებულების ფაქტები.

ყრილობა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გააძლიერონ კონტროლი სამკურნალო-პროფილაქტიკურ და საკურორტო დაწესებულებათა საქმიანობისადმი, ყოველი ღონისძიებით გააუმჯობესონ სამკურნალო მუშაობის ორგანიზაცია, აამაღლონ ავადმყოფთა და დამსვენებელთა მომსახურების კულტურა. მიიღონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ სოფლის სამედიცინო და საკურორტო დაწესებულებანი დააკომპლექტონ კვალიფიციური ექიმების კადრებით.

დაევალოს პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებს და საფინანსო ორგანოებს ყოველდღიურად გაანახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფო ბიუჯეტის უთუოდ შესრულებას და სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას.

მაქსიმალურად გამოიყენონ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრივი განვითარების ყველა შესაძლებლობა, ჩაუნერგონ სპორტსმენებს მაღალი მორალური თვისებანი და ნებისყოფა.

განამტკიცონ და გააფართოონ მოსახლეობის კავშირი საბჭოთა არმიის მეომრებთან. მიიღონ ღონისძიებანი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისათვის ჯანსაღი და მცოდნე ახალგაზრდა შევსების მომზადებისა და ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებისათვის. სრულყონ სამოქალაქო თავდაცვის საქმიანობა, აამაღლონ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ორგანიზაციების მუშაობის დონე.

ყრილობა ავალებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს კვლავაც განამტკიცონ იდეოლოგიური მუშაობის კავშირი ცხოვრებასთან, გააფართოონ პოლიტიკური განათლების ფარგლები და გაზარდონ მისი ქმედითობა, ბეჯითად იბრძოლონ პოლიტიკური და ტექნიკურ-ეკონომიური სწავლის ერთიანობისათვის, ყოველი ღონისძიებით განავითარონ პოლიტიკური და საწარმოო პროპაგანდის მასობრივი ფორმები.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის, თვალსაჩინო აგიტაციისა და ლექციური პროპაგანდის განუყრელი კავშირი სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების კოლექტივთა კონკრეტულ ამოცანებთან, აწარმოონ პოლიტიკური მუშაობა დიფერენცირებულად მოსახლეობის სხვადასხვა ფენაში, აღმოფხვრან ამ მუშაობიდან ფორმალიზმი და კაზიონურობა, ფართოდ გავრცელონ მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთა გამოცდილება.

ყრილობა ავალებს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველდღიური ყურადღება მიაქციონ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმის, ხალხთა მეგობრობისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

პრესის, რადიოს, კინოსა და ტელევიზიის ძირითად ამოცანებად ჩაითვალოს ის, რომ სისტემატურად და ღრმად გააშუქონ პარტიული ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების მუშაობა სამეურნეო გეგმების შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, წარმოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის, დადებითი გამოცდილების გავრცელებისათვის. ყოველი ღონისძიებით განავითარონ მწვავე, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, წარმართონ იგი უძრაობის, ბიუროკრატიზმის, მფლანგველობის, მუქთახორებისა და სხვა ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ.

ყრილობა ავალებს პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს მეცნიერთა მთელი ძალები მოახმარონ ყველაზე დიდ და აქტუალურ პრობლემათა გადაჭრას. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერულ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტმა კვლავაც უნდა წარმართონ მეცნიერული კვლევა თეორიისა და პრაქტიკის იმ უდიდეს ამოცანათა გადასაჭრელად, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია წარმოებისა და კულტურის განვითარებასთან, აღმოფხვრან პარალელიზმი მეცნიერულ კვლევაში, უზრუნველყონ მეცნიერების მიღწევათა უსწრაფესი დანერგვა პრაქტიკაში.

ყრილობა ავალებს პარტიულ კომიტეტებს, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებსა და სახალხო განათლების ორგანოებს უზრუნველყონ ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შემდგომი განმტკიცება, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განხორციელება, სასწავლო-მატერიალური ბაზის გაძლიერება და პედაგოგთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესება.

უმაღლესი სკოლისა და საშუალო სპეციალურ სასწავლებელთა გადაუდებელ ამოცანად ჩაითვალოს ის, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სახალხო მეურნეობის. მეცნიერებისა და კულტურის მოთხოვნილებათა შესაბამისად, და განსაკუთრებით ქიმიის დარგის სპეციალისტთა მომზადება. უზრუნველყონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და სასწავლო მუშაობის ძირეული გაუმჯობესება, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას უმაღლეს სასწავლებელთა დაუსწრებელი და საღამოს განყოფილებების საშუალებით.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ შექმნან მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებიც მკაფიოდ ასახავენ კომუნიზმის მშენებლობის ეპოქის გრანდიოზულ საქმეებს, საბჭოთა ადამიანის გმირობის სიდიადეს, მის სულიერ სიმდიდრესა და მორალურ სიწმინდეს. პარტიულმა კომიტეტებმა, შემოქმედებითმა კავშირებმა თავიანთ მუშაობაში განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, აწარმოონ ბრძოლა ლიტერატურის და ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობისათვის.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან აამაღლონ პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დონე, სრულყონ სამეურნეო მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები.

ყრილობა ავალებს პარტიულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს მთავარი ყურადღება მიაქციონ ადამიანებთან ცოცხალ, კონკრეტულ მუშაობას, ღრმად შეისწავლონ საქმის მდგომარეობა ადგილებზე და მიიღონ გადამჭრელი ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ცენტრალური კომიტეტი, საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სამრეწველო პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან განუხრელად იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში იმ ლენინური პრინციპით, რომ კადრები შეარჩიონ მათი საქმიანი და პოლიტიკური თვისებების მიხედვით, გაბედულად დაწინაურონ ახალგაზრდა ნიჭიერი მუშაკები, მათ შორის ქალები, ხელმძღვანელ სამუშაოზე პარტიულ, სახელმწიფო, საბჭოთა ორგანოებში, ამასთან უზრუნველყონ ძველი და ახალგაზრდა კადრების სწორად შეხამება. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ იმას, რომ კვალიფიციური კადრებით განამტკიცონ ჩამორჩენილი საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, ყოველდღიურად ასწავლონ და აღზარდონ ხელმძღვანელთა კადრები, ყველა კომუნისტი მაღალი იდეურობისა და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

სრულყონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში პარტიულ-სახელმწიფო დისციპლინის უზრუნველყოფისათვის. პარტიულმა კომიტეტებმა და პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებმა რეგულარულად მოისმინონ პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ხელშემწყობი ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიში და ინფორმაცია, მიიღონ ღონისძიებანი მათი საქმიანობის აქტივიზაციისათვის.

გააძლიერონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, აამაღლონ მათი როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაჭრაში. პარტიული კომიტეტები ვალდებული არიან უზრუნველყონ პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერება, მიაღწიონ იმას, რომ საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დაწესებულებების საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდეს კომუნისტების აქტიური მონაწილეობით.

ყრილობა ავალებს პარტიულ კომიტეტებსა და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს გააუმჯობესონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღების საქმე. პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის უნდა იყოს, რომ აღზარდონ და იდეურად გამოაწრთობონ კომუნისტები, განსაკუთრებით პარტიის ახალგაზრდა წევრები და კანდიდატები პრინციპულობის, პატიოსნებისა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიულ ორგანიზაციებს განუწყვეტლივ აუმჯობესონ ხელმძღვანელობა პროფკავშირებისადმი, წარმართონ მათი საქმიანობა იმისათვის, რომ მასები დარაზმონ საწარმოო დავალებათა შესასრულებლად, შუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების, მშრომელთა შემოქმედებითი გაერთიანებების მუშაობის დონის ასამაღლებლად.

განუწყვეტლივ აუმჯობესონ პარტიული ხელმძღვანელობა კომკავშირისადმი, უზრუნველყონ კომკავშირელების, მთელი ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა საწარმოო და კულტურულ მშენებლობაში. კომკავშირის მთავარი ამოცანა ის არის, რომ ქალიშვილები და ჭაბუკები აღზარდოს რევოლუციური ბრძოლის გმირული ტრადიციების მიხედვით, მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის თავდადებული შრომის მაგალითებით, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეებით, მოამზადოს კომუნიზმის მტკიცე, განათლებული, შრომისმოყვარე ახალგაზრდა მშენებლები. პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა ახალგაზრდობა მუდამ მიდიოდეს შვიდწლედის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე.

შეუნელებელი ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საკითხებს, ჩაუნერგონ მას მაღალი მორალური თვისებანი, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის მზადყოფნის გრძნობები.

* * *

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა მოუწოდებს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს, ყველა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციის მთელი თავიანთი ძალღონე და შემოქმედებითი ენერგია მოახმარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დიადი პროგრამის განხორციელებას.

ყრილობა სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომუნისტები, რესპუბლიკის ყველა მშრომელნი კიდევ

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა

# კამათი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების გამო

## ამხ. გ. დ. ჯავახიშვილის სიტყვა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის — რესპუბლიკის მშრომელთა მებრძოლი, ნაცადი ავანგარდის — ყრილობა იმისათვის შეიკრიბა, რომ შეაჯამოს XXI და XXII ყრილობებს შორის საანგარიშო პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგები.

ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და სხვა დარგების მნიშვნელოვანი წარმატებები მიღწეულია მუშათა, სოფლის მშრომელთა, ინჟინერთა, მეცნიერთა, მთელი ქართველი ხალხის თავდადებული შრომით თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ეს წარმატებანი, ჩვენი მიღწევები უდავოა, მაგრამ ამხ. ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებაში აღნიშნული იყო ის სერიოზული ხარვეზებიც, რომლებიც ჯერ კიდევ არის ჩვენს მუშაობაში და რომლებიც ხელს უშლის ჩვენს უფრო წარმატებით წინსვლას.

გაწეული მუშაობის ყოველმხრივი კრიტიკული შეფასების საფუძველზე ყრილობა შეიმუშავებს ღონისძიებებს, რომლებიც საფუძვლად დაედება პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების მთელ საქმიანობას სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და ჩვენი ხალხის კეთილდღეობის ზრდის საქმეში.

მე მინდა შევეხო ზოგიერთ საკითხს, რომლებზეც ბევრად არის დამოკიდებული დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა.

ჩვენ მზარდი ოდენობით ვიღებთ სოციალისტურ დაგროვებას, რაც წარმოადგენს სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობის ყველა ეკონომიური მაჩვენებლის სინთეზს. სამეურნეო ორგანიზაციათა მოგების საერთო ოდენობა (პრუნვის გადასახადის ჩაუთვლელად) 1957 წლის 100 მილიონი მანეთიდან გაიზარდა 257 მილიონ მანეთამდე 1962 წელს, ანუ 2,5-ჯერ. საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა ასრულებს დაგროვების გეგმებს. 1962 წელს საწარმოთა დაახლოებით 70 პროცენტმა მოგება 29 მილიონ მანეთამდე, ხოლო 1963 წლის 9 თვეს განმავლობაში 24 მილიონ მანეთზე მეტი.

რესპუბლიკის მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წარმატებითი მუშაობის შედეგად სახელმწიფო ბიუჯეტი საანგარიშო პერიოდში შესრულებულია ისე, რომ შემოსავალი მნიშვნელოვნად აღემატება გასავალს.

